საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/1750
15/03/2023

1750-21-2-202303151213

შპს „მეგალაიფ ჯორჯიას“
მის: ქ. ბათუმი, ადლიის დასახლება
ელ.ფოსტა: rostomikeladze@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №519 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. ბათუმში, ადლიის დასახლებაში საკვები მცენარეული ზეთების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს საწარმოო პროცესში წარმოქმნილი (ფილტრებზე დარჩენილი უხსნადი (მყარი)) ნარჩენების კოდის, დასახელებისა და რაოდენობის შესახებ ინფორმაცია საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N426 „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ დადგენილების შესაბამისად;
- წარმოდგენილი უნდა იქნეს ნარჩენების აღდგენის ოპერაციის კოდი საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ დანართი I - ის შესაბამისად;
- სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას საწარმოს სამუშაო რეჟიმის შესახებ;
- სკრინინგის განცხადებით წარმოდგენილია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, კერძოდ, დაგეგმილი საქმიანობის ზოგადი დახასიათების ნაწილში საწარმოო მიზნით გამოყენებული ფართობი შეადგენს 400 m^2-ს, ხოლო დაგეგმილი საქმიანობის ადგილმდებარეობის ნაწილში - 700 m^2-ს, შესაბამისად აღნიშნული ინფორმაცია საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას საწარმოში შეტანილი საკვები ზეთების, ასევე, გადამუშავების შედეგად მიღებული ნარჩენების დასაწყობების ადგილისა და განთავსების პირობების შესახებ;

- მონაცემების ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ საკადასტრო ერთეულზე, სადაც დაგეგმილია საპროექტო საწარმოს მოწყობა, ფუნქციონირებს შპს „გრილნაითჯორჯიას“ საკვები მცენარეული ზეთების გადამამუშავებელი საწარმო, ამასთან, საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან 500 მეტრიან რადიუსში განთავსებულია შპს „ალიანსის“, შპს „მერკურისა“ და შპს „ხიდი-2006“-ის საკუთრებაში არსებული საწარმოები. სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას საპროექტო საწარმოს განთავსების ტერიტორიიდან 500 მეტრიან რადიუსში არსებული საწარმოების, მათი ფუნქციური დანიშნულებისა და მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების შესახებ ინფორმაციას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო